ევროპის რეგიონში უმაღლეს განათლებასთან დაკავშირებული კვალიფიკაციების ცნობის კონვენცია

ლისაბონი, 1997 წელი

მოცემულ კონვენციაში მონაწილე მხარეები

acnobiereben რა რომ განათლების უფლება არის ადამიანის ერთ-ერთი უფლება ხოლო უმაღლესი განათლება, რომელიც წარმოადგენს ცოდნის გაფართოებისა და განვითარების გადამწყვეტ ფაქტორს, არის განსაკუთრებით ღირებული კულტურული და მეცნიერული მიღწევა, როგორც ყველა ადამიანისთვის, ასევე საზოგადოებისათვის;

iReben რა მხედველობაში რომ უმაღლესი განათლება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან როლს თამაშობს მშვიდობის, ურთიერთგაგებისა და ტოლერანტობის განმტკიცებასა და ხალხთა და ქვეყნებს შორის ურთიერთნდობის დამკვიდრებაში;

iReben რა მხედველობაში რომ ევროპის რეგიონში განათლების სისტემათა დიდი მრავალფეროვნება წარმოადგენს მისი კულტურული, სოციალური, პოლიტიკური, ფილოსოფიური, რელიგიური და ეკონომიკური მრავალფეროვნების ანარეკლს, რაც არის განსაკუთრებული მონაპოვარი და მოითხოვს ყოველმხრივ პატივისცემას;

surT რა მისცენ საშუალება მოცემული რეგიონის ყველა ადამიანს სრულად გამოიყენოს ეს მრავალფეროვნების წყარო, ყოველი ქვეყნის მოქალაქისა და ყოველი მხარის სასწავლო დაწესებულების მოსწავლისათვის სხვა ქვეყნის საგანმანათლებლო რესურსებთან დაშვების გამარტივების გზით, რაც გამოიხატება იმაში, რომ მხარი დაუჭირონ მათ მცდელობას გააგრძელონ განათლება ან დაასრულონ სწავლების პერიოდი სხვა ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებაში;

Tvlian რა რომ ევროპის რეგიონის რომელიმე სხვა ქვეყანაში გავლილი სასწავლო კურსების, მოწმობების, დიპლომებისა და ხარისხების ცნობა არის მნიშვნელოვანი ღონისძიება, მიმართული მხარეებს შორის აკადემიური მობილობის გაფართოების ხელშეწყობისაკენ;

aniWeben რა დიდ მნიშნელობას უმაღლეს სასწავლებელთა ავტონომიის პრინციპს და აცნობიერებენ რა ამ პრინციპის განმტკიცებისა და დაცვის აუცილებლობას;

arian რა დარწმუნებულნი რომ კვალიფიკაციათა სამართლიანი ცნობა არის საზოგადოებისა და მთავრობათა კულტურული უფლება და მოვალეობა;

iReben რა მხედველობაში ევროსაბჭოსა და UNESCO-ს ქვემოთ ჩამოთვლილ კონვენციებს რომლებიც ეხება მოწმობების ცნობას ევროპაში:

ევროპული კონვენცია უნივერსიტეტში დაშვებისათვის საჭირო დიპლომების ექვივალენტობის შესახებ (1953, ETS 15) და მისი ოქმი (1964, ETS 49);

ევროპული კონვენცია საუნივერსიტეტო განათლების პერიოდების ექვივალენტობის შესახებ (1956 ETS 21);

ევროპული კონვენცია საუნივერსიტეტო კვალიფიკაციების აკადემიური ცნობის შესახებ (1959, ETS 32);

ევროპის რეგიონის ქვეყნების კონვენცია უმაღლეს განათლებაში სწავლების კურსების, დიპლომებისა და სამეცნიერო ხარისხების ცნობის შესახებ (1979);

ევროპული კონვენცია უნივერსიტეტში სწავლების პერიოდების საერთო ეკვივალენტობის

შესახებ(1990, ETS 138);

iReben რა, აგრეთვე მხედველობაში ხმელთაშუა ზღვის აუზის, არაბული და ევროპული ქვეყნების საერთაშორისო კონვენციას უმაღლეს განათლებაში სწავლების, დიპლომებისა და ხარისხების ცნობის შესახებ (1976), მიღებულს UNESCO-ს ფარგლებში, რომელიც ნაწილობრივ ეხება აკადემიურ ცნობას ევროპაში;

acnobiereben რა, რომ მოცემული კონვენცია განიხილება UNESCO-ს კონვენციებისა და საერთო რეკომენდაციების კონტექსტში, რომლებიც ეხება მსოფლიოს სხვა რეგიონებს და რომ აუცილებელია ინფორმაციის გაცვლა ამ რეგიონებს შორის;

acnobiereben რა ფართო ცვლილებებს განხორციელებულს ევროპის რეგიონის უმაღლეს განათლებაში ამ კონვენციების მიღების შემდგომ, რამაც გამოიწვია მნიშვნელოვანი დივესიფიკაცია უმაღლესი განათლების ეროვნული სისტემების შიგნით და მათ შორის, აგრეთვე, სამართლებრივი აქტებისა და პრაქტიკის ამ პროცესებთან შესაბამისობაში მოყვანის აუცილებლობას;

acnobiereben რა ევროპის რეგიონში ცნობის პრაქტიკული პრობლემების ერთობლივი გადაწყვეტის ძიების აუცილებლობას;

acnobiereben რა ცნობის ახლანდელი პრაქტიკის სრულყოფისა და უფრო მეტი გამჭვირვალობის, ევროპის რეგიონის უმაღლესი განათლების მდგომარეობასთან უკეთესი ადაპტაციის უზრუნველყოფის აუცილებლობას;

arian რა დარწმუნებულნი ევროსაბჭოსა და UNESCO-ს საერთო ეგიდით მიღებული კონვენციის პოზიტიურ მნიშვნელობაში, რომელიც განსაზღვრავს ევროპულ რეგიონში ცნობის პრაქტიკის შემდგომი განვითარების ჩარჩოებს;

acnobiereben რა მოცემული კონვენციის პრინციპებისა და დებულებების ცხოვრებაში გატარების მუდმივი მექანიზმების შექმნის მნიშვნელობას,
შეთანხმდნენ შემდეგზე:

ganyofileba I. gansazRvrebani

kari 1.1.
ამ კონვენციაში ქვემოთ მოყვანილი ტერმინები შემდეგი მნიშვნელობით გამოიყენება:

daSveba (umaRles ganaTlebaSi)
უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებასთან დაკავშირებით, შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირის მიერ განსახილველად საკუთარი კანდიდატურის წარდგენის უფლება.
miReba (umaRles saswavlebelSi da mis programebSi)
ქმედება ან სისტემა, რომელიც შესაბამისი კავლიფიკაციის მქონე კანდიდატს აძლევს უფლებას გააგრძელოს სწავლა უმაღლესი განათლების განსაზღვრულ დაწესებულებაში და/ან განსაზღვრულ პროგრამაში.
Sefaseba (dawesebulebis an programebis)
უმაღლესი განათლების მოცემულ დაწესებულებაში ან პროგრამაში განათლების ხარისხის დადგენის პროცესი.
Sefaseba (individualuri kvalifikaciisa)
კომპეტენტური ორგანოს წერილობითი დასკვნა ან შეფასება ინდივიდის უცხოური კვალიფიკაციისა.
cnobis kompetenturi organo
ორგანო, ოფიციალურად უფლებამოსილი გააკეთოს სავალდებულო ხასიათის დასკვნა უცხოური კვალიფიკაციის ცნობის შესახებ.

umaRlesi ganaTleba

სწავლების კურსის ყველა სახეობა ან სწავლების კურსების ერთობლიობა, აგრეთვე, სპეციალისტთა ან მკვლევართა მომზადება საშუალო განათლების შემდგომ დონეზე, რომელსაც ცნობენ მხარის შესაბამისი ორგანოები როგორც საკუთარი უმაღლესი განათლების სისტემის შემადგენელ ნაწილს.

umaRlesi saganmanaTleblo dawesebuleba

დაწესებულება, რომელიც უზრუნველყოფს უმაღლეს განათლებას და აღიარებულია მხარის კომპეტენტური ორგანოების მიერ, როგორც მისი უმაღლესი განათლების სისტემის შემადგენელი ნაწილი.

umaRlesi ganaTlebis programa

სწავლების კურსი, ცნობილი მხარის კომპეტენტური ორგანოების მიერ როგორც მისი უმაღლესი განათლების სისტემის შემადგენელი ნაწილი, რომლის დასრულების შემდეგ სტუდენტი იღებს უმაღლესი განათლების კვალიფიკაციას.

swavlebis periodi

უმაღლესი განათლების პროგრამის ნებისმიერი შეფასებული და დოკუმენტირებული კომპონენტი, რომელიც, თუმცა არ მოიცავს სწავლების სრულ კურსს, წარმოადგენს ცოდნის და გამოცდილების მნიშვნელოვან შენაძენს.

kvalifikacia

a) umaRlesi ganaTlebis kvalifikacia

ხარისხის დამადასტურებელი ნებისმიერი საბუთი, დიპლომი ან სერტიფიკატი, გაცემული უფლებამოსილი ორგანოს მიერ, რომელიც ადასტურებს უმაღლესი განათლების პროგრამის წარმატებით დასრულებას.

b) kvalifikacia, romelic iZleva umaRles ganaTlebaSi daSvebis uflebas

ნებისმიერი დიპლომი ან სერტიფიკატი, გაცემული კომპეტენტური ორგანოს მიერ, რომელიც ადასტურებს სასწავლო პროგრამის წარმატებით დამთავრებას და კვალიფიკაციის მფლობელს აძლევს დაშვების უფლებას სასწავლებელში უმაღლესი განათლების მისაღებად (შდ. დაშვების განსაზღვრებას).

cnoba

უფლებამოსილი ორგანოს მიერ უცხოური საგანმანათლებლო კვალიფიკაციის მნიშვნელობის ოფიციალური დადასტურება, კვალიფიკაციის მფლობელის საგანმანათლებლო და/ან პროფესიულ საქმინობაში დაშვების მიზნით.

moTxovna

a) zogadi moTxovnebi

პირობები, რომლებიც ყველა შემთხვევაში უნდა შესრულდეს უმაღლეს განათლებაში ან მის გარკვეულ დონეზე დასაშვებად ან უმაღლესი განათლების კვალიფიკაციის გარკვეული დონის მისაღებად.

b) gansakuTrebuli moTxovnebi

პირობები, რომლებიც უნდა შესრულდეს დამატებით ზოგადი მოთხოვნების გარდა, უმაღლესი განათლების სპეციფიკურ პროგრამაში ან ცოდნის გარკვეულ სფეროში უმაღლესი განათლების სპეციფიკური კვალიფიკაციის მისაღებად.

ganyofileba **II.** saxelmwifo organoebis kompetencia

kari **II.1**

1. თუ ცნობის საკითხების გადაწყვეტა შედის ცენტრალური სახელმწიფო ორგანოების კომპეტენციაში, მაშინ მხარეებზე დაუყოვნებლივ ვრცელდება ამ კონვენციის დებულებები და ისინი იღებენ საჭირო ღონისძიებებს მათ გასატარებლად თავიანთ ტერიტორიაზე.

თუ ცნობის საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების კომპეტენცია ეკუთვნის მხარის შემადგენელ ნაწილებს, მაშინ მხარე ხელმოწერის ან რატიფიკაციის, მიღების, დამტკიცების მომენტში, ან მოქმედებაში შეყვანის დოკუმენტის შესანახად გადაცემისას, ან ნებისმიერ დროს ამის შემდეგ, გადასცემს ერთ-ერთ დეპოზიტორს მოკლე შეტყობინებას მისი ქვეყნის კონსტიტუციური წყობის და სტრუქტურის შესახებ. ამ შემთხვევაში დასახელებული მხარის შემადგენელი ნაწილების კომ-

პეტენტური ორგანოები მიიღებენ სათანადო ზომებს კონვენციის დებულებათა დასანერგად მათ ტერიტორიაზე.
2. თუ ცალკეულ უმაღლეს სასწავლებლებს ან სხვა ორგანოებს აქვთ უფლება მიიღონ გადაწყვეტილებები ცნობის თაობაზე, მხარეები გადაუგზავნიან მათ კონვენციის ტექსტს და ყოველ ღონეს იხმარენ იმისათვის, რომ ხელი შეუწყონ მათ მიერ კონვენციის დებულებათა განხილვასა და დანერგვას.
3. მოცემული კარის 1 და 2 პუნქტების დებულებები გამოიყენება mutatis mutandis[1] მხარეთა მოვალეობების მიმართ, რომელთაც ისინი იღებენ ამ კონვენციის შემდგომი კარების შესაბამისად.

kari **II.2**
ხელმოწერის ან რატიფიკაციის, მიღების, დამტკიცების მომენტში ან მოქმედებაში შეყვანის დოკუმენტის შესანახად გადაცემისას, ან ნებისმიერ დროს ამის შემდეგ, ყოველმა ქვეყანამ, წმინდა საყდარმა ან ევროგაერთიანებამ, უნდა შეატყობინონ მოცემული კონვენციის ერთ-ერთ დეპოზიტორს იმ ორგანოების შესახებ, რომლებიც კომპეტენტურნი არიან მიიღონ სხვადასხვა სახის გადაწყვეტილებები ცნობის საკითხებზე.

kari **II.3**
ეს კონვენცია არ აუქმებს ერთ-ერთი მხარის მიერ გაცემული კვალიფიკაციის ცნობასთან დაკავშირებულ უფრო ხელსაყრელ დებულებას, რომელიც შესულია ან გამომდინარეობს ხელშეკრულებიდან, რომლის მონაწილე არის, ან შეიძლება გახდეს მომავალში, კონვენციის მონაწილე მხარე.

ganyofileba **III**. kvalifikaciis Sefasebis ZiriTadi principebi

kari **III.1**
1. ერთ-ერთი მხარის მიერ გაცემული კვალიფიკაციის მფლობელთ შესაბამის ორგანოში მიმართვისთანავე აქვთ ადეკვატური დაშვება კვალიფიკაციის შესაფასებლად.
2. დაუშვებელია დისკრიმინაცია ისეთი ნიშნებით, როგორიცაა: სქესი, რასა, კანის ფერი, ინვალიდობა, ენა, რელიგია, პოლიტიკური ან სხვა მრწამსი, ეროვნება, ეთნიკური ან სოციალური წარმოშობა, ის, რომ პირი ეკუთვნის ეროვნულ უმცირესობას, ქონებრივი, საზოგადოებრივი წარმოშობა და სხვა სტატუსით, ან სხვა ნიშნებით, რომლებიც არ არიან კავშირში საძიებელი კვალიფიკაციის ცნობასთან. ამ უფლების უზრუნველსაყოფად ყოველი მხარე ვალდებულებას იღებს გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები, რათა კვალიფიკაციის ცნობის განცხადების შესწავლა მოხდეს მხოლოდ და მხოლოდ მიღებული ცოდნისა და ჩვევების საფუძველზე.

kari **III.2**
ყოველმა მხარემ უნდა უზრუნველყოს კვალიფიკაციების შეფასებისა და ცნობისათვის გამოყენებული პროცედურებისა და კრიტერიუმების საჯაროობა, შეთანხმებულობა და საიმედოობა.

kari **III.3**
1. გადაწყვეტილება ცნობის შესახებ მიღებული უნდა იქნეს საძიებელი კვალიფიკაციის შესახებ მიღებული შესაბამისი ინფორმაციის საფუძველზე;
2. პასუხისმგებლობა ადეკვატური ინფორმაციის მოწოდებაზე პირველ რიგში ეკისრება თვით მაძიებელს, რომელმაც კეთილსინდისიერად უნდა უზრუნველყოს ასეთი ინფორმაციის კეთილსინდისიერება;
3. განმცხადებლის მოვალეობისაგან დამოუკიდებლად კვალიფიკაციის გამცემი სასწავლებლები ვალდებულნი არიან მოთხოვნისთანავე, დროის გონივრულ მონაკვეთში, მისცენ საჭირო ინფორმაცია კვალიფიკაციის მფლობელს, დაწესებულებას ან იმ ქვეყნის კომპეტენტურ ორგანოს, სადაც ხდება ცნობის ძიება;

[1] აუცილებელი, საჭირო შესწორებებით, ცვლილებებით (რედ.)

4. მხარეები დაავალებენ, ხოლო შესაბამის შემთხვევებში მოუწოდებენ მათ განათლების სისტემაში შემავალ ყველა სასწავლო დაწესებულებას, დააკმაყოფილონ ყველა დასაბუთებული მოთხოვნა ინფორმაციის გაცემაზე, დასახელებულ დაწესებულებაში მიღებული კვალიფიკაციის შესაფასებლად;
5. შეფასების განმახორციელებელ ორგანოს ეკისრება პასუხისმგებლობა დაამტკიცოს, საჭიროების შემთხვევაში, რომ განცხადება არ აკმაყოფილებს შესაბამის მოთხოვნებს.

kari **III.4**
ყოველი მხარე, კვალიფიკაციის ცნობის ხელშეწყობის მიზნით, უზრუნველყოფს მისი განათლების სისტემის შესახებ გაცემული ინფორმაციის ადეკვატურობასა და სიცხადეს.

kari **III.5**
განხილვა და გადაწყვეტილების მიღება ცნობის შესახებ უნდა მოხდეს გონივრულ ვადებში, რომელსაც წინასწარ განსაზღვრავს ცნობის განმახორციელებელი კომპეტენტური ორგანო და რომელიც აითვლება სრული ინფორმაციის მიღების მომენტიდან. ცნობაზე უარის თქმის შემთხვევაში უნდა დასახელდეს მიზეზი, რის გამოც არ ხდება ცნობა და გაიცეს ინფორმაცია იმ შესაძლო ზომების შესახებ, რომელიც უნდა მიიღოს მაძიებელმა მომავალში ცნობის მისაღწევად. თუ ცნობა გაჭიანურდა ან გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული, მაძიებელს უფლება აქვს გააპროტესტოს ეს მოქმედება დროის გონივრული მონაკვეთის განმავლობაში.

ganyofileba **IV**. umaRles ganaTlebaSi dasaSvebad saWiro kvalifikaciis cnoba

kari **IV.1**
ყოველი მხარე ცნობს კვალიფიკაციებს, გაცემულს სხვა მონაწილე მხარის მიერ მათი ზოგადი მოთხოვნების შესაბამისად და მის მფლობელს აძლევს თავისი უმაღლესი განათლების სისტემის სასწავლო პროგრამებში დაშვების ნებას, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც შესაძლებელია საფუძვლიანი განსხვავებების დადასტურება კვალიფიკაციის გამცემი ქვეყნის დაშვების წესებსა და იმ ქვეყნების წესებს შორის, სადაც ხდება ცნობის ძიება.

kari **IV.2**
ალტერნატიულად საკმარისია, რომ მხარემ სხვა მხარის მიერ გაცემული კვალიფიკაციის მფლობელს მისცეს შესაძლებლობა მიიღოს ამ კვალიფიკაციის შეფასება მფლობელის მოთხოვნის შესაბამისად, ხოლო კარი IV.1-ის დებულებები ამ შემთხვევაში გამოიყენება mutatis mutandis.

kari **IV.3**
თუ კავლიფიკაცია იძლევა კვალიფიკაციის გამცემი ქვეყნის უმაღლესი განათლების მხოლოდ გარკვეული ტიპის დაწესებულებაში ან პროგრამაში განათლების მიღების უფლებას, ყოველი სხვა მხარე უზრუნველყოფს ამ კვალიფიკაციის მფლობელს უფლებით, მიიღოს განათლება ანალოგიური პროგრამებით მისი უმაღლესი განათლების სისტემის დაწესებულებაში იმ შემთხვევათა გარდა, როდესაც შესაძლებელია საფუძვლიანი განსხვავებების დადასტურება კვალიფიკაციის გამცემი ქვეყნის დაშვების წესებსა და იმ ქვეყნის წესებს შორის, სადაც ხდება ცნობის ძიება.

kari **IV.4**
თუ მიღება უმაღლესი განათლების ცალკეულ პროგრამებში დამოკიდებულია სპეციფიკური მოთხოვნების შესრულებაზე, დაშვების ზოგად მოთხოვნებზე დამატებით, დაინტერესებული მხარის ორგანოებს შეუძლიათ მოსთხოვონ სხვა ქვეყნიდან ჩამოსულ მაძიებელს შეასრულოს ეს მოთხოვნები. ამ შემთხვევაში, დაინტერესებული მხარის სათანადო ორგანოებს ეძლევათ უფლება შეაფასონ, აკმაყოფილებს თუ არა მაძიებლის კვალიფიკაცია, მიღებული სხვა ქვეყანაში, წაყენებულ ექვივალენტურ მოთხოვნებს.

kari **IV.5**
თუ რომელიმე მხარის უმაღლეს განათლებაში დასაშვებად სკოლის დამთავრების სერტიფიკატთან ერთად საჭიროა დამატებითი საკვალიფიკაციო გამოცდების ჩაბარება, მაშინ სხვა მხარეებმა

დაშვება შეიძლება გახადონ ამ მოთხოვნებზე დამოკიდებული ან შესთავაზონ ალტერნატიული გადაწყვეტა, საკუთარი განათლების სისტემის ფარგლებში, დამატებითი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ნებისმიერ ქვეყანას, წმინდა საყდარს ან ევროგაერთიანებას, შეუძლია ხელმოწერის ან რატიფიკაციის, მიღების, დამტკიცების მომენტში, ან მოქმედებაში შეყვანის დოკუმენტის შესანახად გადაცემისას, ან ნებისმიერ დროს ამის შემდეგ, შეატყობინოს ერთ-ერთ დეპოზიტორს, რომ ის იყენებს ამ კარის დებულებას, იმ ქვეყნების დასახელებით, რომელთა მიმართ იგი აპირებს გამოიყენოს ეს კარი და ასევე შეატყობინოს ამ გადაწყვეტილების მიზეზი.

kari **IV.6**

IV.1, IV.2, IV.3, IV.4 და IV.5 კართა დებულებების გადასინჯვის გარეშე მიღება უმაღლეს სასწავლებლებში ან მის პროგრამაში შეიძლება იყოს შეზღუდული ან შერჩევითი. იმ შემთხვევაში, როცა დაშვება უმაღლეს სასწავლებლებში ან პროგრამებში შერჩევითია, მიღების პროცედურა უნდა უზრუნველყოფდეს უცხოური კვალიფიკაციის შეფასების სამართლიანობას დისკრიმინაციის იმ გამოვლინებების გარეშე, რაც მითითებულია ამ კონვენციის III განყოფილებაში.

kari **IV.7**

IV.1, IV.2, IV.3, IV.4 და IV.5 კართა დებულებების გადასინჯვის გარეშე მიღება ზოგიერთ უმაღლეს სასწავლებელში ან მის პროგრამაში შეიძლება იყოს დამოკიდებული იმაზე, რომ მაძიებელმა უნდა დაამტკიცოს თავისი კომპეტენცია მოცემულ სასწავლო დაწესებულებაში დადგენილი სწავლების ენისა, ან ენების ან წინასწარი შეთანხმებით დადგენილი ენების ცოდნაში.

kari **IV.8**

იმ მხარეებში, სადაც უმაღლეს სასწავლებლებში დაშვების უფლება შეიძლება მიღებულ იქნეს არატრადიციული კვალიფიკაციის საფუძველზე, ანალოგიური კლასიფიკაციები, მიღებული სხვა მხარეებში, უნდა შეფასდეს ისევე, როგორც არატრადიციული კვალიფიკაცია, მიღებული იმ ქვეყანაში, სადაც ხდება ცნობის ძიება.

kari **IV.9**

უმაღლესი განათლების პროგრამებში დაშვების მიზნით, ყოველმა მხარემ შეიძლება განახორციელოს იმ კვალიფიკაციათა ცნობა, რომლებიც გაცემულია მის ტერიტორიაზე მოქმედი უცხოური სასწავლო დაწესებულების მიერ, თუ იგი განპირობებულია ეროვნული კანონმდებლობის კონკრეტული მოთხოვნებით, ან იმ მხარესთან დადებული სპეციალური ხელშეკრულებით, რომელსაც ეკუთვნის დასახელებული სასწავლო დაწესებულება.

ganyofileba **V**. swavlebis periodebis cnoba

kari **V.1**

ყოველი მხარე ცნობს მეორე მხარის უმაღლესი განათლების პროგრამის ჩარჩოებში გავლილ სწავლების პერიოდს. ცნობა ეხება სწავლების იმ პერიოდებს, რომლებიც საჭიროა უმაღლესი განათლების პროგრამის დასასრულებლად იმ მხარეში, სადაც ხდება ცნობის ძიება. იმ შემთხვევების გამოკლებით, როდესაც შესაძლებელია საფუძვლიანი განსხვავებების დადასტურება კვალიფიკაციის გამცემი ქვეყნის სწავლების დასრულებულ პერიოდსა და იმ ქვეყნის უმაღლესი განათლების პროგრამის პერიოდს შორის, სადაც ხდება ცნობის ძიება.

kari **V.2**

ალტერნატიულად საკმარისია, რომ პირს, რომელმაც დაამთავრა სწავლების პერიოდი სხვა მხარის უმაღლესი განათლების პროგრამის ჩარჩოებში, მხარემ მისცეს შესაძლებლობა მიიღოს სწავლების ამ პერიოდის შეფასება დაინტერესებული პირის მოთხოვნის შესაბამისად, ხოლო კარი V.1-ის დებულებები ამ შემთხვევაში გამოიყენება mutatis mutandis.

kari **V.3**
კერძოდ, ყოველი მხარე ხელს შეუწყობს სწავლების პერიოდის ცნობას თუ დაკმაყოფილდა შემდეგი მოთხოვნები:
ა) არსებობს წინასწარი შეთანხმება, ერთი მხრივ, საბუთის გამცემ უმაღლეს სასწავლებელს ან ამ საკითხზე პასუხისმგებელ ორგანოსა და მეორეს მხრივ, იმ უმაღლეს სასწავლებელს ან ამ საკითხზე პასუხისმგებელ ორგანოს შორის, სადაც ხდება ცნობის ძიება;
ბ) უმაღლესი სასწავლებელი, სადაც დასრულდა სწავლების პერიოდი, გასცემს სერტიფიკატს ან აკადემიური მოსწრების ფურცელს, რომელიც ადასტურებს, რომ სტუდენტმა წარმატებით შეასრულა სწავლების აღნიშნული პერიოდისათვის წაყენებული ყველა საჭირო პირობა.

ganyofileba **VI**. umaRlesi ganaTlebis kvalifikaciis cnoba

kari **VI.1**
რადგან ცნობის გადაწყვეტილება ეფუძნება ცოდნასა და ჩვევებს, რაც დადასტურებულია უმაღლესი განათლების კვალიფიკაციით, ყოველი მხარე ცნობს უმაღლესი განათლების კვალიფიკაციას, მინიჭებულს მეორე მხარის მიერ, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც შესაძლებელია საფუძვლიანი განსხვავების დადასტურება კვალიფიკაციის გამცემი ქვეყნის კვალიფიკაციასა და იმ ქვეყნის კვალიფიკაციას შორის, სადაც ხდება ცნობის ძიება.

kari **VI.2**
ალტერნატიულად საკმარისია, რომ სხვა მხარის მიერ გაცემული კვალიფიკაციის მფლობელებს მხარემ მისცეს უფლება მიიღოს ამ კვალიფიკაციის შეფასება, მფლობელის მოთხოვნის შესაბამისად, ხოლო კარი VI.1-ის დებულებები ამ შემთხვევაში გამოიყენება mutatis mutandis.

kari **VI.3**
მხარის მიერ უმაღლესი განათლების კვალიფიკაციის ცნობას მოსდევს ერთი ან მეტი ქვემოთ ჩამოთვლილ შედეგთაგანი:
ა) დაშვება უმაღლესი განათლების გასაგრძელებლად შესაბამისი გამოცდების ჩათვლით და/ან სამეცნიერო ხარისხის ძიებისათვის მოსამზადებელ პროგრამებში იგივე პირობებით, რაც მოეთხოვება იმ ქვეყნის კვალიფიკაციის მფლობელს, სადაც ხდება ცნობის ძიება;
ბ) სამეცნიერო ხარისხის გამოყენება იმ ქვეყნის კანონებისა და წესების მიხედვით, ან მისი იურისდიქციის ქვეშ, სადაც ხდება ცნობის ძიება;

ამის გარდა, ცნობას შეუძლია გააადვილოს დაშვება დასაქმების ბაზარზე იმ ქვეყნის კანონებისა და წესების მიხედვით, ან მისი იურისდიქციის ქვეშ, სადაც ხდება ცნობის ძიება.

kari **VI.4**
რომელიმე მხარის უმაღლესი განათლების კვალიფიკაციის შეფასებას, გაცემულს სხვა მხარის მიერ, შეიძლება ჰქონდეს შემდეგი ფორმები:
ა) რეკომენდაციები დასაქმების ზოგადი მიზნების განხორციელებისათვის;
ბ) რეკომენდაცია, რომელიმე სასწავლო დაწესებულებას ჩართოს იგი თავის პროგრამებში;
გ) რეკომენდაცია ნებისმიერ სხვა კომპეტენტურ ორგანოს, მომუშავეს ცნობის საკითხებზე;

kari **VI.5**
ყოველმა მხარემ შეიძლება განახორციელოს უმაღლეს განათლებასთან დაკავშირებული იმ კვალ-იფიკაციის ცნობა, რომელიც გაცემულია მის ტერიტორიაზე მოქმედი უცხოური სასწავლო დაწე-სებულების მიერ, თუ ეს განპირობებულია ეროვნული კანონმდებლობის კონკრეტული მოთხოვნებით, ან იმ მხარესთან დადებული სპეციალური ხელშეკრულებით, რომელსაც ეკუთვნის დასახელებული სასწავლო დაწესებულება.

ganyofileba **VII**. im kvalifikaciebis cnoba, romelsac floben ltolvilebi, adgilnac-vali da ltolvilebTan gaTanabrebulT

kari **VII.1**
ყოველი მხარე თავისი განათლების სისტემის ფარგლებში და კონსტიტუციური, სამართლებრივი და მარეგლამენტირებელი დებულებების შესაბამისად, გაატარებს ყველა შესაძლო და გონივრულ ღონისძიებას სამართლიანი და სწრაფი შეფასების პროცედურების დასამუშავებლად, იმისათვის, რომ დადგინდეს, აკმაყოფილებენ თუ არა ლტოლვილები, ადგილნაცვალი პირნი და ლტოლვილებთან გათანაბრებულები შესაბამის მოთხოვნებს, რომ დაშვებულნი იქნენ უმაღლესი განათლების მისაღებად ან გასაგრძელებლად, ან დასასაქმებლად, მაშინაც კი, როდესაც ერთ-ერთი მხარის ტერიტორიაზე მიღებული კვალიფიკაცია არ არის დასაბუთებული დოკუმენტურად.

ganyofileba **VIII**. informacia umaRlesi saswavleblebisa da programebis Sefasebis Sesaxeb

kari **VIII.1**
ყოველი მხარე გასცემს ადეკვატურ ინფორმაციას თავის განათლების სისტემაში შემავალი დაწესებულებებისა და მათში მოქმედი პროგრამების შესახებ, იმ მიზნით, რომ შეუქმნას სხვა მხარის კომპეტენტურ ორგანოებს შესაძლებლობა დარწმუნდნენ, შეესაბამება თუ არა კვალიფიკაციის ხარისხი, მინიჭებული ამ დაწესებულებების მიერ, მოთხოვნებს, წაყენებულს იმ ქვეყანაში, სადაც ხდება ცნობის ძიება. ინფორმაცია უნდა იყოს შემდეგი:
ა) თუ მხარეს აქვს ჩამოყალიბებული სისტემა უმაღლესი განათლების დაწესებულებებისა და პროგრამების ოფიციალური შეფასებისათვის: ინფორმაცია ამ შეფასების მეთოდებსა და შედეგებზე, ასევე კონკრეტულ ხარისხის სტანდარტებზე ყველა ტიპის სასწავლო დაწესებულებისა და პროგრამისათვის, რომელიც გასცემს უმაღლესი განათლების კვალიფიკაციებს;
ბ) თუ მხარეს არა აქვს ჩამოყალიბებული სისტემა უმაღლესი განათლების დაწესებულებებისა და პროგრამების ოფიციალური შეფასებისათვის: ინფორმაცია მის ამა თუ იმ უმაღლეს სასწავლებელში ან მისი უმაღლესი განათლების სისტემის გარკვეული პროგრამით მიღებული სხვადასხვა კვალიფიკაციის ცნობის შესახებ.

kari **VIII.2**
ყოველი მხარე მიიღებს ადეკვატურ ზომებს, რათა შეადგინოს, განაახლოს და გამოაქვეყნოს:
ა) მიმოხილვა მის განათლების სისტემაში შემავალი სხვადასხვა ტიპის უმაღლესი სასწავლებლების შესახებ, ყოველი სახის ინსტიტუტის ტიპიური დახასიათებით;
ბ) აღიარებული უმაღლესი სასწავლებლების (სახელმწიფო თუ კერძო) სია, რომლებიც შედიან მის სისტემაში, იმის მითითებით თუ რა კვალიფიკაციების მინიჭება შეუძლიათ მათ და რა, მოთხოვნები უნდა დაკმაყოფილდეს, რომ მიღებულ იქნეს დაშვება სასწავლებლად ამ ინსტიტუტში ან პროგრამაში;
გ) უმაღლესი განათლების პროგრამების აღწერა;
დ) იმ უმაღლესი სასწავლებლების სია, რომლებიც განლაგებულია მონაწილე მხარის ტერიტორიის გარეთ და რომლებსაც იგი განიხილავს, როგორც საკუთარი საგანმანათლებლო სისტემის ნაწილს.

ganyofileba **IX**. informacia cnobis sakiTxebze

kari **IX.1**
უმაღლეს განათლებასთან დაკავშირებული კვალიფიკაციების ცნობის გამარტივების მიზნით, მხარეები ვალდებულებას იღებენ, შექმნან ქვეყანაში მიღებული კვალიფიკაციების შინაარსის სრული აღწერის თვალსაჩინო სისტემა.

kari **IX.2**
1. აღიარებენ რა ადეკვატური, ზუსტი და დროული ინფორმაციის საჭიროებას, ყოველი მხარე დააარსებს ან დაამტკიცებს უკვე არსებულ ეროვნულ საინფორმაციო ცენტრს და ატყობინებს მისი

დაარსებისა და მასში მომხდარი ნებისმიერი ცვლილების შესახებ ერთ-ერთ დეპოზიტორს;
2. ყოველი მხარის ეროვნული საინფორმაციო ცენტრი:
ა) ხელს უწყობს ადეკვატური და ზუსტი ინფორმაციის გავრცელებას მისი ქვეყნის განათლების სისტემისა და უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების შესახებ;
ბ) ხელს უწყობს ინფორმაციის მოპოვებას სხვა მხარეების განათლების სისტემებისა და კვალიფიკაციების შესახებ;
გ) უზრუნველყოფს კონსულტაციებსა და ინფორმაციას კვალიფიკაციების ცნობისა და შეფასების საკითხებზე ეროვნული კანონმდებლობისა და რეგლამენტაციის შესაბამისად;
3. ყოველ ეროვნულ საინფორმაციო ცენტრს თავის განკარგულებაში უნდა ჰქონდეს რესურსები, აუცილებელი თავისი ფუნქციების შესასრულებლად.

kari **IX.3**
მხარეები ეროვნული საინფორმაციო ცენტრების საშუალებით, ან სხვა გზით, ხელს შეუწყობენ UNESCO/ევროსაბჭოს დიპლომის დანართის ან სხვა ნებისმიერი თანადი საბუთის გამოყენებას მხარეების უმაღლეს სასწავლებლებში.

ganyofileba **X.** ganxorcielebis meqanizmebi

kari **X.1**
კონვენციის ზედამხედველობა, ხელშეწყობა და განხორციელების გაადვილება ევალებათ შემდეგ ორგანოებს:
ა) ევროპის რეგიონში უმაღლეს განათლებასთან დაკავ-შირებული კვალიფიკაციების ცნობის კონ-ვენციის კომიტეტს;
ბ) აკადემიური ცნობისა და მობილობის ეროვნული საინფორმაციო ცენტრების ევროპულ ქსელს (ENIC), დაარსებულს 1994 წლის ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის 9 ივნისის და UNESCO-ს ევროპის რეგიონალური კომიტეტის 18 ივნისის დადგენილებით.

kari **X.2**
1. ამით ფუძნდება ევროპის რეგიონში უმაღლეს განათლებასთან დაკავშირებული კვალიფიკაციების ცნობის კონვენციის კომიტეტი (ამის შემდეგ მოიხსენიება როგორც "კომიტეტი"). იგი შედგება თითო წარმომადგენლისაგან ყოველი მხარიდან;
2. კარი X.2-ის მიზნებისათვის ტერმინი "მხარე" არ გამოიყენება ევროგაერთიანების მიმართ;
3. ქვეყნები, მოხსენიებული XI.1.1. კარში და წმინდა საყდარი, თუ ისინი არ წარმოადგენენ კონ-ვენციის მხარეს, ევროკავშირში, აგრეთვე ENIC-ის ქსელის თავმჯდომარე, მიიღებენ მონაწილეობას "კომიტეტის" სხდომებში, როგორც დამკვირვებლები. იმ სამთავრობო და არასამთავრობო ორგანი-ზაციების წარმომადგენლები, რომლებიც დასპეციალებულნი არიან ევროპის რეგიონის ცნობის პრობლემებში, აგრეთვე, იქნებიან მოწვეულნი "კომიტეტის" შეხვედრებზე დამკვირვებლის სტატუსით;
4. UNESCO-ს ევროპული ქვეყნების სწავლების კურსების უმაღლესი განათლების დიპლომებისა და ხარისხების ცნობის კონვენციის განხორციელების რეგიონალური კომიტეტის თავმჯდომარე, აგრეთვე, იქნება მოწვეული "კომიტეტის" შეხვედრებზე დამკვირვებლის სტატუსით;
5. "კომიტეტი" ხელს შეუწყობს კონვენციის განხორციელებას და მეთვალყურეობას გაუწევს მის შესრულებას. ამ მხრივ მას შეუძლია მხარეების ხმათა უმრავლესობით მიიღოს რეკომენდაციები, დეკლარაციები, პროტოკოლები და პრაქტიკაში წარმატებით გამოყენებული მოდელები მხარეთა უფლებამოსილი ორგანოების ორიენტაციის მიზნით, მათ მიერ კონვენციის რეალიზაციისას და უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ცნობისათვის შემოსული განცხადებების განხილვის დროს. თუმცა მხარეები არ არიან შეზღუდულნი ჩამოთვლილი დოკუმენტებით, ისინი ყოველნაირად მიისწრაფიან იხელმძღვანელონ ამ დოკუმენტებით, დაიყვანონ ეს საბუთები კომპეტენტურ ორგა-ნოებამდე და ხელი შეუწყონ მათ გამოყენებას. საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე

"კომიტეტი" გაარკვევს ENIC-ის ქსელის აზრს.
6. "კომიტეტი" წარუდგენს მოხსენებას ევროპის საბჭოსა და UNESCO-ს შესაბამის ორგანოებს;
7. "კომიტეტი" ამყარებს კავშირებს UNESCO-ს რეგიონულ კომიტეტებთან, რომლებიც დაკავებულნი არიან UNESCO-ს ეგიდით მიღებული უმაღლესი განათლების სფეროში სასწავლო კურსების, დიპლომებისა და ხარისხების ცნობის შესახებ კონვენციების გამოყენების საკითხებით;
8. კონვენციის მხარეთა უმრავლესობა შეადგენს კვორუმს;
9. "კომიტეტი" მიიღებს თავის პროცედურულ წესებს. იგი შეიკრიბება მორიგ სესიაზე, სამ წელიწადში ერთხელ მაინც. "კომიტეტი" პირველად შეიკრიბება კონვენციის ძალაში შესვლიდან ერთი წლის ვადაში;
10. "კომიტეტის" სამდივნო უზრუნველყოფა ევალებათ ერთობლივად ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანსა და UNESCO-ს გენერალურ დირექტორს.

kari **X.3**
1. აკადემიური ცნობისა და მობილობის ეროვნული საინფორმაციო ცენტრების ევროპულ ქსელში (ENIC-ის ქსელში) ყოველ მხარეს წარმოადგენს ეროვნული საინფორმაციო ცენტრი, შექმნილი ან დამტკიცებული კარი IX.2-ს შესაბამისად. თუ კარი IX.2-ის შესაბამისად მხარეში ერთზე მეტი ეროვნული საინფორმაციო ცენტრია შექმნილი, მაშინ ყველა ცენტრი იქნება ქსელის წევრი, მაგრამ შესაბამის მხარეს ექნება მხოლოდ ერთი ხმა;
2. ENIC-ის ქსელი, რომლის შემადგენლობა შეზღუდულია კონვენციის მონაწილე ქვეყნებით, მხარს დაუჭერს და ზედამხედველობას გაუწევს კონვენციის პრაქტიკულ დანერგვას კომპეტენტური ეროვნული ორგანოების მიერ. ქსელი მოაწყობს პლენარულ სესიებს წელიწადში ერთხელ მაინც. იგი ირჩევს პრეზიდენტსა და ბიუროს დადგენილი ვადით;
3. ENIC-ის ქსელის სამდივნო უზრუნველყოფა ევალებათ ერთობლივად ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანსა და UNESCO-ს გენერალურ დირექტორს.
4. მხარეები ENIC-ის ქსელის მეშვეობით თანამშრომლობენ სხვა მხარეების ეროვნულ საინფორმაციო ცენტრებთან, კერძოდ, ეხმარებიან მათ საჭირო ინფორმაციის შეგროვებაში, რომელიც დაეხმარება მათ აკადემიურ ცნობასა და მობილობასთან დაკავშირებულ საქმიანობაში.

ganyofileba **XI**. daskvniTi debulebebi

kari **XI.1**
1. კონვენცია ღიაა ხელმოსაწერად:
ა. ევროსაბჭოს წევრებისათვის;
ბ. UNESCO-ს ევროპის რეგიონის ქვეყნებისათვის;
გ. სხვა ქვეყნებისათვის, რომლებმაც ხელი მოაწერეს, იღებდნენ მონაწილეობას ან წარმოადგენდნენ მხარეებს ევროპის საბჭოს ევროპის კულტურულ კონვენციაში და/ან UNESCO-ს რეგიონის ქვეყნების უმაღლეს განათლებასთან დაკავშირებული სწავლების კურსების, დიპლომების და ხარისხების ცნობის კონვენციაში;
2. ამ ქვეყნებსა და წმინდა საყდარს შეუძლიათ გამოხატონ თავიანთი თანხმობა მიიღონ მონაწილეობა (შეასრულონ) შემდეგ ქმედებებში:
ა. ხელმოწერა, რომელსაც არ სჭირდება რატიფიკაცია, მიღება ან დამტკიცება;
ბ. ხელმოწერა, რომელსაც სჭირდება რატიფიკაცია, მიღება ან დამტკიცება და რომელსაც უნდა მოჰყვეს რატიფიკაცია, მიღება ან დამტკიცება;
გ. მიერთება.
3. ხელის მოწერა ხდება ერთ-ერთ დეპოზიტორთან. რატიფიკაციის, მიღების, დამტკიცების ან მოქმედებაში შესვლის დოკუმენტი შესანახად უნდა გადაეცეს ერთ-ერთ დეპოზიტორს.

kari **XI.2**
ეს კონვენცია ძალაში შედის იმ თვის პირველ დღეს, რომელიც მოსდევს ერთთვიან ვადას იმ დღიდან, როდესაც ხუთი ქვეყანა, მათ შორის ევროსაბჭოს და/ან UNESCO-ს ევროპული რეგიონის მინიმუმ სამი ქვეყანა, განაცხადებს თანხმობას მიიღოს მონაწილეობა კონვენციაში. ყველა სხვა ქვეყნისათვის იგი ძალაში შედის იმ თვის პირველ დღეს, რომელიც მოსდევს ერთთვიან ვადას ქვეყნის მიერ კონვენციაზე მიერთების თანხმობის განცხადების დღიდან.

kari **XI.3**

1. ამ კონვენციის ძალაში შესვლის შემდეგ ქვეყნებს, რომლებიც არ მოხვდნენ XI.1 კარის ჩამონათვალში, შეუძლიათ გამოთქვან სურვილი მიუერთდნენ ამ კონვენციას. ყველა განაცხადი ამის თაობაზე უნდა გაეგზავნოს ერთ-ერთ დეპოზიტორს, რომელიც გადაუგზავნის მას მონაწილე ქვეყნებს სულ ცოტა 3 თვით ადრე, ევროპის რეგიონში უმაღლეს განათლებასთან დაკავშირებული კვალიფიკაციების ცნობის კონვენციის კომიტეტის სხდომამდე. ზემოაღნიშნულის შესახებ დეპოზ-იტორები შეატყობინებენ, აგრეთვე, ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტს და UNESCO-ს აღმასრულებელ საბჭოს;

2. გადაწყვეტილება განმცხადებელი ქვეყნის კონვენციასთან მიერთების თაობაზე მიიღება მხარეთა 2/3-ის მიერ;

3. გადაწყვეტილება ახალი ქვეყნის კონვენციასთან მიერთების თაობაზე ძალაში შედის იმ თვის პირველ დღეს, რომელიც მოსდევს ერთთვიან ვადას მიერთების დოკუმენტის ერთ-ერთი დეპოზიტორისათვის შესანახად გადაცემის დღიდან.

kari **XI.4**

1. ამ კონვენციის მხარეები, რომლებიც ამავდროულად წარმოადგენენ მხარეებს ერთ ან რამდენიმე ჩამოთვლილ კონვენციაში:

ევროპული კონვენცია უნივერსიტეტში დაშვებისათვის საჭირო დიპლომების ეკვივალენტობის შესახებ (1953, ETS 15) და მისი ოქმი (1964, ETS 49);

ევროპული კონვენცია საუნივერსიტეტო პერიოდების ეკვივალენტობის შესახებ (1956, ETS 21);

ევროპული კონვენცია საუნივერსიტეტო კვალიფიკაციების აკადემიური ცნობის შესახებ (1958, ETS 32);

ხმელთაშუა ზღვის აუზის არაბული და ევროპული ქვეყნების საერთაშორისო კონვენცია უმაღლეს განათლებაში სწავლების კურსების, დიპლომებისა და ხარისხების ცნობის შესახებ (1976);

ევროპის რეგიონის ქვეყნების კონვენცია უმაღლეს განათლებაში სწავლების კურსების, დიპლომე-ბისა და სამეცნიერო ხარისხების ცნობის შესახებ (1979);

ევროპული კონვენცია უნივერსიტეტში სწავლების პერიოდების ზოგადი ეკვივალენტობის შესახებ (1990, ETS 138);

ა. ერთმანეთთან ურთიერთობაში იყენებენ ამ კონვენციის დებულებებს;

ბ. აგრძელებენ ზემოთ ჩამოთვლილი კონვენციების გამოყენებას იმ ქვეყნების მიმართ, რომლებიც მონაწილეობენ აღნიშნულ კონვენციებში, მაგრამ არ მონაწილეობენ ამ კონვენციაში.

2. კონვენციის მხარეები ვალდებულებას იღებენ არ შეუერთდნენ პირველ (1) პუნქტში ჩამოთვლილ კონვენციებს, თუ ისინი უკვე არიან მისი მხარეები, გარდა ხმელთაშუა ზღვის აუზის არაბული და ევროპული ქვეყნების კურსების, დიპლომებისა და ხარისხების ცნობის შესახებ.

kari **XI.5**

1. ყოველ მხარეს შეუძლია ხელმოწერის ან ტარიფიკაციის, მიღების, დამტკიცების მომენტში ან მოქმედებაში შეყვანის დოკუმენტის შესანახად გადაცემისას, განსაზღვროს ტერიტორია ან ტერი-ტორიები, სადაც გამოიყენება მოცემული კონვენცია;

2. შემდგომში ნებისმიერ მხარეს, ნებისმიერ დროს, შეუძლია ერთ-ერთი დეპოზიტორის სახელზე გაგზავნილი განცხადების მეშვეობით გაავრცელოს კონვენციის გამოყენება განცხადებაში მითითებულ სხვა ტერიტორიაზეც. დასახელებულ ტერიტორიაზე კონვენცია ძალაში შევა იმ თვის პირველ დღეს, რომელიც მოსდევს ერთთვიან ვადას დეპოზიტორის მიერ ამ განცხადების მიღებიდან.

3. ნებისმიერი განცხადება, რომელზედაც იყო ლაპარაკი წინა ორ პუნქტში, შეიძლება გაწვეულ იქნეს უკან დეპოზიტორის მისამართით გაგზავნილი შეტყობინებით. გაწვევა ძალაში შედის იმ თვის პირველ დღეს, რომელიც მოსდევს ერთთვიან ვადას დეპოზიტორის მიერ ამ შეტყობინების მიღებიდან.

kari **XI.6**

1. ნებისმიერ მხარეს, ნებისმიერ დროს, შეუძლია კონვენციის დენონსაცია ერთ-ერთ დეპოზიტორთან

შეტყობინების გაგზავნის გზით;
2. დენონსაცია მოქმედებას იწყებს იმ თვის პირველ დღეს, რომელიც მოსდევს თორმეტთვიან ვადას დეპოზიტორის მიერ ამ შეტყობინების მიღების დღიდან. ეს დენონსაცია არ მოქმედებს ცნობის იმ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიღებული იყო ადრე ამ კონვენციის ფარგლებში;
3. მოცემული კონვენციის მოქმედების შეჩერება ან დაყოვნება, რაც შედეგია მხარის მიერ კონ-ვენციის დებულებების მნიშვნელოვანი დარღვევისა, განხილული იქნება საერთაშორისო წესების შესაბამისად.

kari **XI.7**
1. ყოველ მონაწილე ქვეყანას, წმინდა საყდარს ან ევროგაერთიანებას, აქვს უფლება ხელმოწერის ან რატიფიკაციის, მიღების, დამტკიცების მომენტში ან მოქმედებაში შეყვანის დოკუმენტის შესანახად გადაცემისას განაცხადოს, რომ იგი იტოვებს უფლებას არ გამოიყენოს მთლიანად ან ნაწილობრივ ერთი, ან მეტი ქვემოთ ჩამოთვლილ კარები: IV.8, V.3, VI.3, VIII.2, IX.3.
ყველა სხვა შენიშვნა დაუშვებელია.
2. ყოველ მხარეს, რომელსაც აქვს შენიშვნები ჩამოთვლილი კარების მიმართ, შეუძლია სრულიად ან ნაწილობრივ მოხსნას ეს შენიშვნები დეპოზიტორთან შეტყობინების გაგზავნის შემდეგ. შეზღუდვების მოხსნა ძალაში შედის დეპოზიტორის მიერ შეტყობინების მიღების დღიდან.
3. მხარემ, რომელმაც გააკეთა შენიშვნები ამ კონვენციის დებულების შესახებ, არ შეიძლება მოსთხოვოს სხვა მხარეს იმავე დებულებათა შესრულება; თუ შენიშვნა ნაწილობრივია ან პირობითი, მაშინ მხარეს შეუძლია მოითხოვოს დებულებების შესრულება იგივე მოცულობით, რაც თავად მიიღო.

kari **XI.8.**
1. ამ კონვენციაში შესწორების პროექტები შეიძლება მიღებულ იქნეს ევროპის რეგიონში უმაღლეს განათლებასთან დაკავშირებული კვალიფიკაციების ცნობის კონვენციის კომიტეტის მიერ, მხარეთა ორი მესამედის უმრავლესობით. ასეთნაირად მიღებული შესწორების ნებისმიერი პროექტი ჩაირთვება მოცემული კონვენციის ოქმში. ოქმში უნდა იყოს მითითებული მისი ძალაში შესვლის პირობები, რომლებიც ნებისმიერ შემთხვევაში ითხოვენ მხარეთა თანხმობას დაემორჩილონ მათ;
2. არ შეიძლება წინა პუნქტის შესაბამისად შესწორების შეტანა მოცემული კონვენციის III განყოფილებაში;
3. ნებისმიერი წინადადება შესწორების შესახებ უნდა გადაეცეს ერთ-ერთ დეპოზიტორს, რომელ-იც გადაუგზავნის მას მხარეებს სულ მცირე სამი თვით ადრე "კომიტეტის" სხდომამდე. დეპოზი-ტორი შეატყობინებს ამის შესახებ, აგრეთვე, ევროსაბჭოს მინისრტთა კაბინეტსა და UNESCO-ს აღმასრულებელ საბჭოს.

kari **XI.9**
1. ამ კონვენციის დეპოზიტორები არიან ევროსაბჭოს გენერალური მდივანი და UNESCO-ს გენ-ერალური დირექტორი;
2. დეპოზიტორი, რომელსაც ჩაბარდება შესანახად აქტი, შეტყობინება ან განცხადება, კონვენციის მონაწილე ქვეყნებს, აგრეთვე, ევროსაბჭოსა და UNESCO-ს ევროპული რეგიონის სხვა წევრ ქვეყნებს აწვდის შემდეგი სახის ინფორმაციას:
ა. ნებისმიერი ხელმოწერის შესახებ;
ბ. რატიფიკაციის, მიღების, დამტკიცების ან მოქმედებაში შეყვანის ნებისმიერი დოკუმენტის შესანახად მიღების შესახებ;
გ. კონვენციის XI.2 და XI.3.4. კარების მიხედვით კონვენციის ძალაში შესვლის ნებისმიერ თარიღს;
დ. XI.7 კარის თანახმად განხორციელებული ნებისმიერი შეზღუდვისა და ასეთი შეზღუდვის უკან გაწვევის შესახებ;
ე. XI.6 კარის თანახმად გაკეთებული ამ კონვენციის ნებისმიერი დენონსაციის შესახებ;
ვ. II.1 და II.2 კარების თანახმად გაკეთებული ნებისმიერი განცხადების შესახებ;
ზ. IV.5 კარის თანახმად გაკეთებული ნებისმიერი განცხადების შესახებ;
თ. XI.3 კარის თანახმად გაწევრიანებაზე გაკეთებული ნებისმიერი მოთხოვნის შესახებ;

ი. XI.8 კარის თანახმად გაკეთებული ნებისმიერი წინადადების შესახებ;
კ. კონვენციასთან დაკავშირებული ნებისმიერი აქტის, შეტყობინების ან განცხადების შესახებ;
3. დეპოზიტორი, რომელიც იღებს განცხადებებს ან აგზავნის შეტყობინებებს ამ კონვენციის დებულების თანახმად, დაუყოვნებლივ ატყობინებს ამის შესახებ მეორე დეპოზიტორს.

რის დასტურადაც სათანადო უფლებამოსილებით აღჭურვილი ქვემორე ხელისმომწერები ვაწერთ ხელს ამ კონვენციას.

შესრულებულია ლისაბონში 1997 წლის 11 აპრილს ინგლისურ, ესპანურ, რუსულ და ფრანგულ ენებზე; ამასთან, ოთხივე ტექსტს თანაბარი ძალა აქვს, და შესრულებულია ორ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთ-ერთი ბარდება შესანახად ევროპის საბჭოს არქივს, მეორე კი - UNESCO-ს არქივს. სათანადო წესით დამოწმებული ასლები ეგზავნება XI.1 კარში ჩამოთვლილ ყველა ქვეყანას, წმინდა საყდარს, ევროგაერთიანებას, აგრეთვე UNESCO-ს სამდივნოს.

საქართველოს მიერ კონვენცია ხელმოწერილია 1997 წლის 11 აპრილს, რატიფიცირებულია 1999 წლის 13 ოქტომბერს და ძალაშია 1999 წლის 1 დეკემბრიდან.